

გარემო და ინფრასტრუქტურა

 npc.ge/ka/story/garemo-da-infrastruktura/

„აპც – გირჩის“ ეკოლოგიური ხედვა ემყარება გარემოს რეალური, მდგრადი გაჯანსაღებისკენ მიმართულ სამ პრინციპს: კერძო ინტერესების ჩართვა, დეცენტრალიზაცია, თანასწორობა.

კერძო ინტერესები:

მინის მფლობელთა ბუნებრივი ინტერესია, მათი საკუთრება, რომელსაც საცხოვრებლად, სოფლის მეურნეობისა თუ ტურიზმისთვის იყენებენ, დაცული იყოს დაბინძურებისგან. საქართველოში უნდა დამკვიდრდეს კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის ახალი სტანდარტი: მოქალაქეებს უნდა შეეძლოთ მიიღონ კომპენსაცია მათი საკუთრების დაბინძურებისთვის, როგორც სახელმწიფოსგან, ისე კერძო პირებისა და კომპანიებისგან.

მოქალაქეთა კერძო ინტერესების გათვალისწინება და ეფექტური სასამართლო აიძულებს კომპანიებს (სახელმწიფოს კონტრაქტორების ჩათვლით) მეტი პასუხისმგებლობით მიუდგინონ გარემოს იქ, სადაც ხელისუფლება არაეფექტურია, ადმინისტრირების სირთულის, კორუფციის, გულგრილობისა თუ ელექტორალური ინტერესების გამო.

დეცენტრალიზაცია:

სახელმწიფოს კუთვნილი ბუნებრივი რესურსების ადმინისტრირებაში უნდა გაიზარდოს ადგილობრივი თვითმმართველობისა და, შესაბამისად, თემის როლი.

შედეგად, გამოირიცხება ცენტრალური ხელისუფლების ერთპიროვნული გადაწყვეტილებები, რომელიც უგულებელყოფს კონკრეტული თემის ეკოლოგიურ ინტერესებს.

თანასწორობა ინფრასტრუქტურის განვითარებაში:

საქართველოში ჰაერის დაბინძურების ძირითადი წყარო ავტომობილების გამონაბოლქვია. ამ პრობლემის ძირეულად გადაწყვეტისთვის აუცილებელია ქვეყნის მკვეთრად გამდიდრება, რაც „აპც – გირჩის“ პროგრამის მთავარი პრიორიტეტია.

სანამ ავტომობილის მონესრიგების (მაგ., კატალიზატორის დაყენება/განახლების) ღირებულება აღემატება მოქალაქის საშუალო შემოსავალს, სანამ უამრავი ადამიანი სასიცოცხლოდაა დამოკიდებული ავტომობილის მაქსიმალურად იაფ ექსპლუატაციაზე, გამონაბოლქვის პრობლემის სრულად მოგვარების დაპირებები არარეალისტურია. თუმცა, ნაბიჯების გადადგმა გარემოს გაჯანსაღებისკენ შესაძლებელია:

1. დამკვიდრდეს ინფრასტრუქტურის განვითარებისადმი უფრო თანასწორი მიდგომა. ავტომფლობელების ინტერესებთან ერთად, სახელმწიფომ გაითვალისწინოს ფეხით, ველოსიპედით თუ გარემოსთვის უსაფრთხო სხვა საშუალებებით მოძრავ მოქალაქეთა ინტერესები.

დღესდღეობით, უმანქანოდ მოძრაობას აფერხებს უსაფრთხო/კომფორტული გადასასვლელების ნაკლებობა, მოძრაობის წესების არასათანადო დაცვა, სპეციალური ბილიკების და, ბევრგან, ტროტუარის არარსებობაც კი.

2. საავტომობილო ინფრასტრუქტურა განვითარდეს არა მხოლოდ გზების, არამედ პარკინგის მიმართულებითაც: ეს შედარებით განტვირთავს ქუჩებს და შეამცირებს საცობებს, რაც ჰაერის დაბინძურების დამატებითი ფაქტორია.

3. ხელი შევუწყობთ სატრანზიტო და ქალაქთაშორისი მიმოსვლის დასახლებული პუნქტებიდან გატანას, რაც გაამარტივებს მიმოსვლას (დადებითი ეკონომიკური ეფექტი) და დამატებით განტვირთავს ქუჩებს.

«აპც – გირჩის» ინიციატივები ინფრასტრუქტურის დაბალანსებული განვითარების მიმართულებით პირდაპირ ემსახურება საგზაო უსაფრთხოების ზრდასაც.

მოძრაობის წესების უფრო ეფექტურად და თანმიმდევრულად კონტროლი თავისთავად გულისხმობს მოძრაობის უსაფრთხოების ზრდას (და ამ გზით უმანქანოდ მოძრაობის ხელშეწყობას).

საფეხმავლო და საველოსიპედო ინფრასტრუქტურის – ბილიკებისა თუ გადასასვლელების – მონაცემები ნიშნავს, რომ ნაკლებ მოქალაქეს მოუწევს უმანქანოდ გზის საავტომობილო ნაწილზე მოძრაობა ან არასათანადო ადგილას, სახიფათოდ გადაკვეთა.

უსაფრთხოების ზრდას გამოიწვევს ასევე დასახლებულ პუნქტებში გზების განტვირთვა, რასაც დამატებით ხელს შეუწყობს პარკინგის განვითარება და სატრანზიტო მიმოსვლის ქალაქგარეთ გატანა.